29/11/2023

ვატიკანში ა.წ. 28 ნოემბერს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სტელა დაიდგა

ა.წ. 28 ნოემბერს ვატიკანში ივერიის ღვთისმშობლის ხატის სტელა დაიდგა. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ილია დარჩიაშვილი, ვატიკანში საქართველოს ელჩი ქ-ნი ქეთევან ბაგრატიონი. ცერემონიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც დაესწრნენ შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), საქართველო საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

ღონისძიებაზე ანსამბლ ,,ბასიანი“-ის მიერ შესრულდა ქართული საგალობლები და ხალხური სიმღერები.

ვატიკანის ტერიტორიაზე საქართველოს მხრიდან სტელის დადგმის ისტორია

რამდენიმე წლის ურთიერთობებს მოიცავს. აღნიშნულის თაობაზე მის უწმიდესობასთან, რომის პაპ ფრანცისკესთან, ჯერ ჩვენს ელჩს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ჰქონდათ საუბარი. თავდაპირველად არჩევანი წმ.ნინოს გამოსახულებაზე შეჩერდა, შემდეგ კი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოზაიკური სტელის დადგმა გადაწყდა, რადგან გამოყოფილ ტერიტორიაზე მხოლოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ძეგლის, სტელის ან მოზაიკის დადგმა არის განსაზღვრული.

საქართველოს მხრიდან შეირჩა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ზუსტი ასლის გამოსახულება, რომლის თანხებიც მთლიანად საქართველოს მთავრობამ გამოყო და თავის მხრივ ხელი შეუწყო ა.წ. 28 ნოემბერს ვატიკანში მის განთავსებას.

გთავაზობთ ამ მოვლენასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ რომის პაპ ფრანცისკესთვის გაგზავნილ წერილს.

მის უწმიდესობას, პაპ ფრანცისკეს

თქვენო უწმინდესობავ,

ღრმა პატივისცემითა და ძმური სიყვარულით მოგესალმებით თქვენ და აქ შეკრებილ საზოგადოებას და სიხარულით აღვნიშნავ, რომ დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმ მეგობრული და ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ვატიკანის სახელმწიფოს, საქართველოს ეკლესიასა და რომის საყდარს შორის უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა; ჩვენს ეპოქაში კი პაპ იოანე-პავლე II-ის მოღვაწეობისას განახლდა, ხოლო თქვენს პერიოდში ამ დამოკიდებულებამ კიდევ უფრო მეტი სიღრმე შეიძინა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ თქვენი ვიზიტის მნიშვნელობას 2016 წელს საქართველოში და მიმდინარე წელს სიქსტეს კაპელაში თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის გუნდის გამოსვლას. ამ ორივე ფაქტმა მსოფლიო რეზონანსი შეიძინა.

ახლა კი საქართველოს მთავრობის სახელით თქვენდამი მოძღვნილი საჩუქარი, – ათონის წმ.მთის ივერონის მონასტრის და საქართველოს მფარველის, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის, მოზაიკური სტელა ვატიკანის ტერიტორიაზე იდგმება!

ეს ახალი ფურცელი, ისტორიული დღე და თარიღია ჩვენი ქვეყნებისა და ეკლესიების ურთიერთობაში! მადლობა ყველას და მადლობა ჩვენს ელჩს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს, გაწეული შრომისათვის.

შევნიშნავთ იმასაც, რომ მოზაიკის სტელის შექმნაზე იმუშავეს საქართველოს ეკლესიის სამმა წარმომადგენელმა, რომელთა შორის არის ბატონი ამირან ბაკურაძეც. წლების

წინ მოზაიკის სპეციალობას იგი თქვენთან, ვატიკანში, დაეუფლა და სამშობლოში დაბრუნდა; საქართველოში კი უკვე არაერთი ტაძარი განამშვენა.

თქვენო უწმინდესობავ, სასულიერო დასის წარმომადგენელნო, დანო და ძმანო, რომში და, საერთოდ, იტალიაში მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო, მჯერა დღეს ხარობენ ძმები, – წმ. პეტრე მოციქული და წმ.ანდრია პირველწოდებული, – ჩვენს ეკლესიათა საფუძველდამდებნი.

შევთხოვ მათ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, დაიცვან ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ეკლესიები და ხალხები და მშვიდობით აკურთხონ ისინი. დაე, მათი მეოხებით და ღვთის წყალობით მშვიდობამ დაისადგუროს ახლო აღმოსავლეთშიც, უკრაინასა და მთელ მსოფლიოში.

ვიცით, რომ მრავალი ადამიანი ლოცულობს და იღვწის ამისთვის. საყოველთაოდაა ცნობილი თქვენი ზრუნვაც სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობისათვის.

ვიმედოვნებთ, ეს ღვაწლი, ეს მცდელობები თავის შედეგს გამოიღებს.

ჩვენი მომართვა კი წმ.დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით მინდა დავასრულო: ,,შენ ხარ ჩემი ლამპარი, უფალო. უფალი განმინათლებს ბნელს.“

ინებოს ყოვლადწმინდა სამებამ, რომ თვისი ტახტი დაიდგას ჩვენს გულებში და ყველას განგვინათლოს ბნელი.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

მის უწმიდესობას, პაპ ფრანცისკეს

თქვენო უწმინდესობავ,

ღრმა პატივისცემითა და ძმური სიყვარულით მოგესალმებით თქვენ და აქ შეკრებილ საზოგადოებას და სიხარულით აღვნიშნავ, რომ დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმ მეგობრული და ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობისა, რომელიც საქართველოს ეკლესიასა და რომის საყდარს შორის უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა; თანამედროვე ეპოქაში კი კავშირი ჩვენს სახელმწიფოებსა და ეკლესიებს შორის პაპ იოანე-პავლე II-ის მიერ განახლდა, ხოლო თქვენს პერიოდში ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდა.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ თქვენი ვიზიტის მნიშვნელობა 2016 წელს საქართველოში და მიმდინარე წელს სიქსტეს კაპელაში თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის გუნდის გამოსვლა. ამ ორივე ფაქტმა მსოფლიო რეზონანსი შეიძინა.

ახლა კი საქართველოს მთავრობის სახელით თქვენდამი მოძღვნილი საჩუქარი, - ათონის წმ.მთის ივირონის მონასტრის და საქართველოს მფარველის, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის, მოზაიკური სტელა ვატიკანის ტერიტორიაზე იდგმება!

ეს ახალი ფურცელი, ისტორიული დღე და თარიღია ჩვენი ქვეყნებისა და ეკლესიების ურთიერთობაში! მადლობა ყველას და მადლობა ჩვენს ელჩს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს გაწეული შრომისათვის.

შევნიშნავთ იმასაც, რომ მოზაიკის სტელის შექმნაზე იმუშავეს საქართველოს ეკლესიის სამმა წარმომადგენელმა, რომელთა შორის არის ბატონი ამირან ბაკურაძეც. წლების წინ მოზაიკის სპეციალობას იგი თქვენთან, ვატიკანში, დაეუფლა და სამშობლოში დაბრუნდა; საქართველოში კი უკვე არაერთი ტაძარი განამშვენა.

თქვენო უწმინდესობავ, სასულიერო დასის წარმომადგენელნო, დანო და ძმანო, რომში და, საერთოდ, იტალიაში მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო, მუცრა დღეს ხარობენ ძმები, - წმ. პეტრე მოციქული და წმ.ანდრია პირველწოდებული, - ჩვენს ეკლესიათა საფუძველდამდებნი.

შევთხოვ მათ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, დაიცვან ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ეკლესიები და ხალხები და მშვიდობით აკურთხოს ისინი.

დაე, მათი მეოხებით და ღვთის წყალობით მშვიდობამ დაისადგუროს ახლო აღმოსავლეთშიც, უკრაინასა და მთელ მსოფლიოში.

ვიცით, რომ მრავალი ადამიანი ლოცულობს და იღვწის ამისთვის. საყოველთაოდაა ცნობილი თქვენი ზრუნვაც სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობისათვის.

ვიმედოვნებთ, ეს ლვაწლი, ეს მცდელობები თავის შედეგს გამოიღებს.

ჩვენი მომართვა კი წმ.დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით მინდა დავასრულო: „შენ ხარ ჩემი ლამპარი, უფალო. უფალი განმინათლებს ბნელს."

ინებოს ყოვლადწმინდა სამებამ, რომ თვისი ტაბტი დაიდგას ჩვენს გულებში და ყველას განგვინათლოს ბნელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ზიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

28.11.2023.

patriarchate.ge